



ეროვნული
დემოკრატიული

საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტია

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.

რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიხაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

გულდათუთქულნი ღიზა ფირანის ასული მოდებანისა, მარიამ სოლომონის ასული თუმანიშვილისა, და სოლომონ გიორგის ძე მოდებანე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას; პირველი დის შვილის, მეორე დეიდაშვილის და მესამე ცოლის დის შვილის

დავით (დათიკო) ტარიელის ძე პიპიანის,

რომლის დაკრძალვა მოხდება 30 ამა ეკენისთვის დღით სამშაბათს ნაშუადღევს 4 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ივანოვის ქუჩა ანდრონიკაშვილის სახლი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. 1-1

საჭიროა მასწავლებელი

გერმანული და ფრანგული ენებისა

ორე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის, რესპუბლიკის ქუჩა, 2-1.

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში

გულადი დაიწყება 1 ოქტომბერს. წარსული სამოსწავლო წლის მოწაფეები, რომელთაც სურთ განაგრძონ სწავლა, უნდა გამოცხადდნენ სასწავლებელში დანიშნულ ვადისთვის. ვინც 1 რიცხვიდან ერთი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდება, ის აღარ ჩაითვლება სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვში. 3-1

ვაცხადებთ რომ

ბრძანებულნი ვაუხხიშვილის ქალთა გიმნაზიას

გადასწავლებული ვართ მთავრობის გიმნაზიასთან.

საპენსიო წიგნაკი № 2523, მოწაფე

სამხედრო საკრებულოს მიერ

გამოსული № 19565 და ფული

მანეთი. მნახველს ესთხოვ ფუ-

თვითონ დაიტოვოს მოწმობე-

ტი გამომიგზავნოს შემდეგი მი-

მართით: პოლიციის ქუჩა. დომენ-

ტი ფურცხვანიძეს გადასაცემად ზა-

1-1

საქართველოს საზოგადოება „საქართველო“

ამ საჯარო-სამრეწველო საქცილ საზოგადოების წესდება დამტკიცდა 4 ივლისს.

მისი ძირითადი თანხა 10 მილიონია, ამ ხანად კი 5 მილიონი უნდა შეიკრიბოს, რომ მუშაობას შეუდგეს.

მეტად ფართო მიზანი აქვს: საქონლის შემოტანას ევროპის მექარხნეთაგან უშუალოდ და საქონლის

გაზიდავა საქართველოდან უცხოეთში, საქართველოში ქარხნების აშენება, მალაროების დამუშავება და სხ.

უკვე დიდი თანხა შეიკრიბა.

ფულის შეკრების უკანასკნელი ვადა არის ოთხი ოქტომბერი.

პაი ღირს 500 მანეთად. ვისაც რაღენი უნდა, იმდენის შექმნა შეუძლია.

ყველა დაბაქალაქშია საორგანიზაციო კომიტეტი.

ქუთაისში საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ პავლე უზნაძეა.

უეჭველია, ამ საქცილსაზოგადოებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

ეს—შეერთებული, შენაწევრებული საჯარო-სამრეწველო ამხანაგობა საუკეთესო საშუალებაა სპეკულიაციის წინააღმდეგ.

მისი მოგება და წაგება დაფარული არ იქნება, მისი მოქმედება—მთავრობის მიზანთან შეთანხმებული იქნება.

დამტკიცდა, რომ ბიუროკრატიულ დაწესებულებას არ შეუძლია დაიჭიროს საჯარო-სამრეწველო საზოგადოების ადგილი.

მაგალითად, ეგრეთ-წოდებულმა „მომარაგების კომიტეტმა“ ვერ შეკრიბა აბრეშუმის პარკი, რომელშიც, მაგალითად, პურით მდიდარი რუმინია პური გაგვიცვლიდა.

„მომარაგების კომიტეტი“ რომ სახელი გამოუცვალონ და „სატრანსპორტო კომიტეტი“ დაარქვან, საქმეს არც არაფერი ამით ეშველება.

უეჭველია: „მომარაგების კომიტეტი“ ვერაფერს ვერ გაარიგებს, თუ ხსენებული საზოგადოება არ დაიხმარა.

დღე! საზოგადოებამ მოიგოს ზომიერი პროცენტი, ოღონდა კი პური შემოიტანოს იმ პირობით, რასაკვირველია, რომ შემოიტანილი პური მცხოვრებთ ბარათებით დაურიგდეს.

ღიად! საქცილ საზოგადოება უფრო ადვილად იშოვის გასატან საქონელსაცა და შემოსატანსაც.

მაგრამ დღეს ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ მთავრობა კონტროლზე ხელს ვერ აიღებს და, თუ რომელსამე საჯარო საზოგადოებას პრივილეგიას მიანიჭებს, მაგიერად მოვალეობასაც დააკისრებს.

ერთი სიტყვით, „მომარაგების კომიტეტი“ დიდ საქმეს გააკეთებს, თუ საჯარო-სამრეწველო საქცილ საზოგადოებას დაემყარება.

მადლობა ღმერთს, ბუნების მაღლი და სიმდიდრე არ გვაკლია. „შავი ქვა“, თუთუნია, აბრეშუმი, შებენისეთი საქონელია, რომელშიაც პურსაც მოგვეცემენ და მანუფაქტურასაც.

მხოლოდ ერთი რამე გვიშლის ხელს. მუშათა კავშირებს გაღმეტებული უფლებანი აქვსთ მინიჭებული.

რკინის გზის სადგურებსა და ნავსადგურებში ტვირთვა შეუსაბამოდ ძვირად ჯდება. მუშებს შეთქმული აქვსთ პირი. იმავე დროს ნება არავის აქვს სხვა მუშები დაიჭიროს.

მაგრამ, როდესაც ამგვარი წესი ერს განსაცდელს უმზადებს, მთავრობა მოვალეა, მუშათა ერთი ნაწილის ინტერესი სხვერპლად შესწიროს რესპუბლიკის ბედს.

მაშასადამე მთავრობამ იძულებითი შრომის ბეგარა უნდა შემოიღოს. ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა ერთი ნაწილი რკინისგზის სადგურზე და ნავსადგურებში უნდა ამუშაოს და ეს იძულებითი შრომა სამხედრო მოვალეობის ანგარიშში უნდა შეარაცხოს.

ეს იქებოდა საუკეთესო საშუალება.

მეორე საშუალება კიდევ ის იქნებოდა, თუ მუშათა სინდიკატს ნება არ ექნებოდა აეკრძალა მუშაობა მუშათა სხვა სინდიკატებისთვის, ე. ი. თუ მუშათა სინდიკატების თავისუფალი კონკურენცია დამყარდებოდა.

ღიად! ორში ერთი უნდა იყოს: ან მუშათა სინდიკატების თავისუფალი კონკურენცია ან იძულებითი შრომა.

დღისური

ავსტრია ფიქროს სახელმწიფო გაკოტრებულად გამოაცხადოს და უმაღლესი ძალა-უფლება გადასცეს მოკავშირეთა მისიას ვენაში

ბოლშევიკების წითელმა ჯარმა ტომსკი აიღო. მოსკოვში კომუნისტების კრებაზე დენიკინის აგენტებმა ყუმბარა გაიხროლეს, მოკლეს 9 დასჭრეს 17 კაცი.

დღევანდელი წესი კი — ყოველად შეუწყნარებელია, ვინაიდან რესპუბლიკას საზინელ განსაცდელს უმზადებს.

დროა მოისპოს სახელმწიფოს და მქცევი, შეუსაბამო პრივილეგიები, რომელნიც ხელში ჩაუვდია მუშათა მცირე ჯგუფს. დროა, ბოლო მოეღოს ამ შასიშარ სპეკულიაციას!

ვასილ წერეთელი

მუშათა საბჭოები, სახალხო გვარდია და ადმინისტრაცია.

ერთობ რთული ადმინისტრაციული აპარატი გვაქვს.

მუშათა საბჭოები, სახალხო გვარდია, ჩვეულებრივი ადმინისტრაცია, საგანგებო ადმინისტრაცია...

ყველა ხსენებული ორგანო-ადმინისტრაციულ მოვალეობას ასრულებს და მაშასადამე ადმინისტრაციული უფლებითა და უპირატესობით შემოსილია

მაგრამ, როდესაც რამდენიმე ორგანო ერთს ფუნქციას ასრულებს, ე. ი. მრავალგამგებლობაა, შეუძლებელია დამყარდეს წესიერება და არ შეიქმნეს ანარქია.

ადმინისტრაციას, როგორც სასამართლოს, სკოლას, საკანონმდებლო ორგანოს გაერთიანება, განმარტივება სჭირდება.

ამას გვიჩვენებს ევროპა. იქ ყველგან-ერთი ორგანო, ერთი ადმინისტრაციაა, ერთი სასამართლოა, ერთი საკანონმდებლო ორგანოა.

მაშასადამე, ჩვენ რუსეთის დრო მოქმედის, დახვედრის მონარქიული რეჟიმისაგან ვისესხეთ ადმინისტრაციული სისტემა

და სწორედ ეს არის მიზეზი, შინაურ ცხოვრებაში რომ მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება არ მოხერხდა.

ხალხს მშვიდობა სწყურია, მაგრამ ადმინისტრაციული სისტემის მოუწყობელობით ანარქია იბადება და იზრდება.

განვიხილოთ თვითნებური ადმინისტრაციული ორგანო.

დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა, მუშათა საბჭო, როგორც რევოლიუციური ორგანო, თავის მოქმედებაში სასამართლოს წინაშე პასუხისმგებელი არ არისო.

მაშასადამე, მუშათა საბჭოს წევრმა რომ საბჭოს დადგენილებით ვინმე დაატუსაღოს, სასამართლოს წინაშე პასუხს არ აგებს.

ეს, რასაკვირველია, დიდი უპირატესობაა, აბსოლუტიზმია.

უცოდველი და შეუცდომელი, რასაკვირველია, არავინ არის და, მუშათა საბჭოებიც ხომ, შეიძლება, შეცდენ!

მეორე მხრით, უეჭველია: პასუხისმგებელი ორგანო უფრო გაუფრთხილდება თავის მოქმედებასა და მაშასადამე სხვის უფლებას.

აქედან კი გამომდინარეობს მიუცილებელი დასკვნა: რომ კანონიერება დამყარდეს და მოქალაქის საჯარო უფლებანი დაცულ იქნენ, მუშათა საბჭოებს ეს პრივილეგია უნდა ჩამოერთვასო.

სახალხო გვარდიის შტაბსაც აქვს მინიჭებული უფლება დაატუსაღოს მოქალაქე და გადასცეს ადმინისტრაციას ანუ სასამართლოს.

აქ ერთი შინაგან წინააღმდეგობაა. სახალხო გვარდია ორგვარ ფუნქციას ასრულებს: —სამხედროსა და ადმინისტრაციულსა — და ამ ორი ფუნქციის ერთს ორგანოში მოთავსება — შეუწყნარებელია.

სამხედრო ორგანიზაციის არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩაერიოს შინაურს, სამოქალაქო ცხოვრებაში.

ჯერ ერთი: მისი ავტორიტეტი, როგორც სამშობლოს მცველისა გარეშე მტრისაგან, მეტად დიდია.

მეორე: ჩვეულებრივი ადმინისტრაცია ადვილად უთმობს თავის უფლებას ამ ავტორიტეტს.

მესამე, სახალხო გვარდიის შტაბის წევრები, როდესაც თავის მოვალეობას ასრულებენ, ემორჩილებიან მხოლოდ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბსა და არა სასამართლოს. მთავარ შტაბს კი არავითარი საშუალება არ აქვს გამოარკვიოს, რამდენად კანონიერი იყო ადგილობრივი შტაბის მოქმედება.

და, მესამე, სახალხო გვარდიისა და უიარაღო მოქალაქეთა შორის არ უნდა იყოს არავითარი ანტაგონიზმი, რომელიც აუცილებელია, როცა გვარდია ადმინისტრაციის როლს ასრულებს.

დიახ! გვარდია, როგორც ჯარი, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი საყვედურისა და კრიტიკისაგან

მეორე მხრით, უეჭველია: თუ კი გვარდია ადმინისტრაციის როლს იკისრებს, —სასტიკი კრიტიკის ობიექტად უნდა გადიქცეს.

ადმინისტრაცია —საჭიროა, აუცილებელია სახელმწიფოს აშენებისათვის. მაგრამ მას ისეთი როლი და მოვალეობა აქვს, რომ ანგელოზე-

ბისაგან, რომ იყოს შედგენილი, არ შეიძლება თავისი უფლების საზღვარს არ გადაცდეს და მოქალაქის უფლება არ შეურაცხყოს. და, რომ ადმინისტრაციამ თავის მოვალეობას არ გადააბიჯოს და სხვის უფლებას გაუფრთხილდეს, საჭიროა ულომობელ კრიტიკას ექვემდებარებოდეს და პასუხს აგებდეს სასამართლოს წინაშე.

დიახ! როდესაც პრესას საშუალება არ სქვს ადმინისტრაციის მოქმედება გააკრიტიკოს, მაშინ კანონიერება ადვილს უთმობს დესპოტიას, ტირანიას, ადმინისტრაციულ ძალადობას, ძველ რეჟიმს.

და, ვეჭველია, რამდენადც მეტი უფლება და უპირატესობა აქვს ადმინისტრაციას, იმდენად უფრო საჭიროა მისი თვითნებური ნაბიჯის — კრიტიკის ცეცხლში გატარება.

აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა: როგორც მუშათა საბჭო, აგრეთვე სახალხო გვარდია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები —სასტიკი კრიტიკის ობიექტებად უნდა გადიქცენ.

ეს კი —მეტადრე სახალხო გვარდიისთვის, როგორც სამხედრო ორგანიზაციისთვის, შეუსაბამო იქნება.

მაშასადამე, დამფუძნებელმა კრებამ სახალხო გვარდიას ადმინისტრაციული უფლებანი უნდა ჩამოართვას.

ეს —ლოდიკური აუცილებლობაა. და ეს, რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს. თუ არ გვინდა, მთელ საქართველოში ისეთივე გვარდიის დიქტატურა დამყარდეს, როგორც ლეჩხუმის მაზრაში სუფევს.

დაგვიანება საქმეს გაართულებს?! დასასრულ, თვით ჩვეულებრივი ადმინისტრაციის უფლებაც უნდა შეიკვეცოს.

ადმინისტრაციას არ უნდა ჰქონდეს უფლება დაატუსაღოს მოქალაქე რამდენიმე კვირით ანუ თვით, პირიქით, დაატუსაღება ერთს ან ორსამ დღეში სასამართლოს უნდა გადასცეს.

იმავე დროს, თუ ადმინისტრაციის მოხელემ უდანაშაულო მოქალაქე დაატუსაღა პასუხი უნდა აგოს სასამართლოს წინაშე.

ეს —ის ელემენტარული საჯარო მოქალაქობრივი უფლებაა, რომლი სთვისაც ხალხნი რევოლიუციებს აწარმოებდნენ და აწარმოებენ,

ეს —რევოლიუციის უძვირფასესი მონაპოვარია.

და, როგორც სამწუხარო არ არის, როდესაც ამ უძვირფასეს უფლებას რევოლიუციის სახელით შეურაცხოფენ!

განა იმას, ვინც ამ უფლებას სთელავს, ნება აქვს რევოლიუციის სახელით ილაპარაკოს?!

დიახ! საჭიროა ადმინისტრაციის უფლებას კანონიერი საზღვარი დაეღვას.

მხოლოდ მაშინ რესპუბლიკა დამყარდება წესიერება და კანონიერება.

ნაკვთები

I. უკვე აღეპი.

დამფუძნებელმა კრებამ სოციალ-დემოკრატიული თითებით შეამცირა უქმე დღეების რაოდენობა.

სოციალ-დემოკრატიული თითები შეიჭრა საეკლესიო საქმეებში და რელიგია თავდაყირა დააყენა.

„დემოკრატის, მუშა ხალხს, — უნდა ამდენი უქმე-დღესასწაულები“.

ამტიკებდა სოციალისტური რავლესობა დამფუძნებელ კრებამ როდესაც ზომიერი ფრთიდან მწინააღმდეგ ასათიანი გამოვიდა.

მაგრამ სოციალისტური საგარდობი მდიდარი აღმოჩნდა თითებმხრით.

სოციალისტურმა თითებმა შეამცირა უქმე-დღესასწაულების რაოდენობა...

შეიძლება სოციალისტური დებულებები იმით ხელმძღვანელობდა, რომ მრავალ-რიცხოვანი უქმეები აცდნო ხალხს და ვრს ეკონომიურად აქვედნებებს.

მაგრამ ამით ისინი ვერ იხელმძღვანელებდნენ.

სოციალისტები ვრს ანგარიშს უწყევს.

ჩვენი ხალხი კი ზნე-ჩვეულებას ადათს არ დააგდებს.

დეკრეტებით გაუქმებულ დღესასწაულებს არ უარყოფს.

სოციალისტები დეკრეტებს „მუშათა კლასისათვის“ თხზავს.

მაგრამ არც „მუშათა კლასი“ დაიჩინა კმაყოფილი.

უთანხმოებამ ამ კლასშიდაც იფუტოქა...

სოციალისტური ავანგარდი „დღესასწაულების“ წინაშე დეზერტირობდა ეწვევიან.

ჩვენ წინ ძვეს კანონ პროექტ დამფუძნებელი კრების მიერ კანონად ქცეული:

უქმე დღეების შემცირების შესახებ:

ოცდაშვიდი სექტემბერი კანონმდებლად სრულებით ამოშლილია. საქმე დღეთ არის აღიარებული უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულების მიერ.

ჩვენ წინ დევს აგრეთვე ფუცილი: —

„საერთო დებულება“ — ქუთაის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირისა.

ეს დებულება 27 სექტემბერს უმეტ აღიარებს. ამ დღეს მუშებს — მხოლოდ შაობას უკრძალავს.

იუქმეს: ქუთაისში! თბილისი მუშაობდა!.. მაოცებს ეს ამბავი.



კეთილშობილი:
დაშვიდი სექტემბერი არის უკეთესი არა?!

II
სუნდები.

ლაფერი უცნაურია ჩვენში!
უნაურობით საქართველო ცნობილია...
უნაურობამ ჩვეულებრივი სახე...
მაგრამ ადმინისტრაციის მოქმედება უკვე უცნაურობას...
სახეობა შემოიღო ახალ სისტემაში...
მთელი რიგი იმ დროს მან რომ...
საზოგადოების, ისე პრესის...
მთლიანი გულის წყრომა დაიბრუნა...
მაგრამ პროვინციის ეხლანდემ ადმინისტრაცია ცდილობს...
კიდევ გადააჭარბოს.
ვიწერება კომისრების თვით...
ბევრი დაიწერება.
ჩვენი კორესპონდენტი...
კომისრის მახარადის ბრძანებით ადგილობრივ სატუსალოში...
პატიმარს ხელებით ერთი...
საშვალებით აბაშენ და მთვლე და ღამის განმავლობაში...
სტოვებენო.
ახის ზედამხედველს ეს თურმე...
პოსტონს, მაგრამ კომისრის ბრძანებში ემორჩილება.
ბრალო ხუნდი!
ერჩიან ხუნდს მაინც, როდემ რამდენიმე კაცის ძალას ატენენ რუსებმა ხუნდები ბევრი ვვი...
ბრძანა და თითო კაცს თითო ხუნდშიც დადონ.

ტები, რომელიც ხალხის მიერ იყენენ არჩეულნი. ამავე მამასახლისთა დახმარებით, რომლებიც გარეგნულად ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს ისინი მოხალისეთა მხარეზე ყოფილიყვნენ, ნამდვილად კი ხალხის მხარეზე აღმოჩნდნენ, იქ, ამ ყრილობაზე გადასწყდა, რომ ვერც ერთ ცხენოსან და ვერც ერთ ქვეითა მემომარს ვერ მიიღებს მოხალისეთა ჯარი, დაღესტნისაგან. ყრილობის აზრით პირველად ცუდახარელებს უნდა ეთქვათ მოხალისეთა ჯარისთვის უარი. ცუდახარელებმა სიხარულით განაცხადეს, რომ ისინი პირველნი აჯანყდებიან ამ გადაწყვეტილებას შეუერთდა სოფლები კუპა და ხაჯალ-მახი, რომლებიც წინა დ პასიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ინტელიგენტური ძალები და სამხედრო სპეციალისტები, გამოუმუშავებულ იქნა აჯანყების გეგმა, რომლის მიხედვით, მას შემდეგ რაც ჯარის მიცემაზე უარს ეტყოდნენ, ცუდახარელებს უნდა იარაღი აეყარათ ყაზახთა გარნიზონებისთვის სხვა სოფლებითა დახმარებით, დაეტუსალებინათ მთავრობის წარმომადგენელი, რომელთაც გაჰყიდეს სახალხო საქმე, და სხვა სოფლების ცხენოსანი მგომრების დახმარებით წასულიყვნენ ლევაშისაკენ, რომ იქ დაემსხვრიათ ალი-ხაჯის და ხალხის სხვა ხელმძღვანელთა სატუსალო. ამ გადაწყვეტილების მიხედვით შემდეგ ყრილობა დაიხურა, მაგრამ დღევანდები დარჩნენ ცუდახარში, რომ მეორე დღეს პირადათ დარწმუნებულებიყვნენ, თუ როგორ შეასრულებდნენ ყრილობის დადგენილებებს ცუდახარელები აჯანყების შემდეგ მსვლელობა უკვე იციან მკითხველებმა.

ფიშა თავისუფალი პირტი.

„დეილი ტელეგრაფის“ სიტყვით აღრიატიკის საკითხები განზრახულია გადაწყდეს შემდეგნაირად: ფიშამ დაუთმობენ იტალიას, მაგრამ იტალიამ იგი 99 წლით იჯარით უნდა მისცეს ხალხთა ლიგას.

ეს პროექტი ახლა გადაცემულია პრეზიდენტ ვილსონისთვის გასარჩევად.

ახალი ამბავი მუთაიაი.

მუსიკალურ სასწავლებელში. მუსიკალურ სასწავლებელში სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს, ძველმა მოწაფეებმა: რომელთაც სურთ განაგრძონ მეცადინეობა თავის სურვილი უნდა განაცხადონ 1 ოქტომბერამდის.
პარალელური კლასის გახ.

სნა. ქალთა პირველ გიმნაზიაში გაიხსნა მეხუთე კლასის პარალელური განყოფილება. იმ მოწაფეთა მშობლებს, რომელთაც თხოვნები აქვთ შეტანილი სთხოვენ, გამოცხადდნენ აღნიშნულ გიმნაზიაში ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე.

ჯამაგირები აფთიაქებში. შრომის კომისარმა წინადადებით მიმართა ქალაქის აფთიაქების გამგეებს რათა მათ დააკმაყოფილონ აფთიაქში მომუშავენი სატარიფო პალატის დადგენილების თანახმად. ამ დადგენილების ძალით პროვიზორს ენიშნება თვეში 2160 მან. პროვიზორის თანაშემწეებს: პირველი წლის პრაქტიკანტს 1690 მან. მეორე წლისას—1750 მან, მესამე წლისას—1820 მან., სამ წელს ზევით—1875 მან. მოწაფეებს: ექვს თვემდელი 1050 მ., ექვსი თვიდან წლამდე—1100 მ., მეორე წლისას—1200 მ., მესამე წლისას 1300 მ., მოღარეს—1150 მ., დარაჯს—1000 მან.

მოხე ელიაგულაშვილის გაცემის განზრახვა. 27 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მახლობლად ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხნენ ქუთაისში ცნობილი არონ ერიგულაშვილის შვილს მოსეს. უნდოდათ გატაცება მაგრამ მოსემ სროლა აუტუნა. იყო ზასუბიკ. შეიქნა დიდი სროლა. სასერიანოთ გამოსული ხალხი შეშინდა და გაიქცენ. ამ დროს მოუსწრო მილიციელებმა და ერთი ბოროტ გამზრახველ დააპატიმრეს. სხვები გაიქცენ. დაპატიმრებული აღმოჩნდა ვიღაც ანტონ ძიდიგური.

წყალ სადენის პროექტი ქალაქის თავმა დ. კალანდარაშვილმა მიწა გერმანიიდან წყალსადენის პროექტი, რომელიც ამ დღეებში მოხსენდება საბჭოს.

სამაგალითო რეზიზანსი.

გაზ. „საქართველოს“ 167 №-ში დაბეჭდილია ბ.ნის გიორგი ბურჭულაძის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ბ. ლ. ჩიმაკაძისა და ანდ. შუბლაძის არითმეტიკული სახელმძღვანელოს შესახებ. იმავე ავტორს განათლების სამინისტროსთან არსებულ სარეცენზიო კომისიაში ამავე სახელმძღვანელოს შესახებ მოხსენება წარუდგინა. ბ. ბურჭულაძის აზრი ხსენებული წიგნების შესახებ ასეთია:

გაზეთით:
„ეს ამოცანათა კრებულები თავისის „ლიტერატურული“ ენით სკოლებში ენას წარყვნიან და ამ აღორძინების ხანაში საჭიროა ენის გაწმენდა, ამ მხრივაც ისინი მიუღებელი არიან სკოლებისათვის.“
მოხსენებით:
„ამ კრებულის სკოლებისათვის მოწონება, ვიდრე იგი არ გადაშუ-

შადება, შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ მისი სკოლებში დაშვება.“
როგორ მოგწონთ, მკითხველთა ეს ორთავიანობა? იქ—ეს წიგნები სრულიად „მიუღებელი არიან“, აქ კი—„შეიძლება მისი სკოლებში დაშვება?!“

ან როგორ მოგწონთ სალიტერატურო ენის „დაშველისაგან“ ეს ყოვლად უმადრუკი „დაშვება“?! ეს „დაშვება“ რუსული „допустить“ ხომ არ არის?!

ჰაი, ჰაი, ხომ არის!.. იმისი არ იყო—„მოხსენება გააკეთათა“, რომ სწერენ და გაიძახიან, —ბოზბაშ-ფლავი ხომ არ არის, რომ „აკეთებენ“ ამ მოხსენებებს?!

ჰო და—მოხსენების „გამკეთებელმა“ რომ „დაუშვას“, არც გასაკვირია!.. მაგრამ ამისთანა „დაშვება“—„გამკეთებით“ რომ მსგავსი რეცენზენტები ქართულ ენას წარყვნიან-გან ვერ იხსნიან, ეს წინ და წინ ნათელია ყველასათვის.

სადგისი. დღევანდელი გდგოგარკო-გა და ზემო სვანეთი.

ზემო სვანეთი თითქოს ცხოვრებას გაურიყავს. მიჯაჭვულია კავკასიონის ქედზე და გარშემო საშინელი მთები აქვს გარშემორტყმული. ბევრი სასიკვდილო ბრძოლა უხდება ხოლმე უზო-უკვლოდ მოსიარულე სვანს ამ მთებთან; ბევრი დედა აუტირებია ამ მთებს თავის სიმკაცრით და ბევრი ახალგაზდა ყმაწვილი; ოჯახის მარჩენალი გამოუსალმებია წუთისოფელს.

საწყალი სვანი... მთელი ზაფხული გახურებულ მუშაობაშია გართული, ალევს თავის ღონეს უნაყოფო მიწას და მაინც ვერ იხსნის ოჯახს სიმშობისაგან. შემოდგომაზე დაქანცული ამ ცხოვრების უკუღმართობით მიეშურება იგი საძუშაოდ საქართველოს სხვა და სხვა მხარეებში და დავარდნილი, იკიფე დაღლილი უბრუნდება თავის ჩამქრალ კერას. იგი უბრუნდება გაზაფხულზე, მაგრამ მან არ იცის თავის სამშობლოში ცოცხალი მიაღწევს თუ არა.

საშინელი ქრუანტელი დაუვლის ხოლმე საწყალ სვანს, როდესაც გაახსენდება თავისი სასიარულო გზა და როდესაც გაახსენდება მთა „მუშური“, რომელზედაც მან უნდა გათიაროს. იქნებ ის ან შვავმა დაახრჩოს, ან საღი ფეხი გადაუცდეს და გადავარდეს საღმე უფსკრულში ყვავ-ყორანთა მორად.

ყოველივე ამის აჩრდილები შვეწერტილებსავით წარმოუდგება ხოლმე სვანს. მაგრამ სვანი ბუნებით ამაყია ბევრ ქირვარამის ამტანი... ეს სიამაყე მისთვის კადმოუსია იმ მთებს, რომლის კალთებზე იგი იზრდება. იგი ებრძვის ცხოვრებას, მის წინ ქედს არ იხრის და ასე ბრძოლით განაგრძობს თავის ღარიბ სიცოცხლეს, თუკა ზოგიერთჯერ დამარცხებული რჩება ხოლმე.

მას ბევრი დაბეჩავება აუტანია

ძველ რეჟიმის დროს, მასაც სულს უზუთავდა ის სულ-შემხუთავი ატმოსფერა, მაგრამ ახალსაც მისთვის საუბედუროდ არასფერი არ მოუტანია.

დღეს სვანეთი წარმოადგენს ისეთ ალღოს ცხოვრებისას, სადაც არ არსებობს კანონი, სამართალი, სადაც არ არსებობს სწავლა-განათლება, სადაც არ არის გზები და სხვა და სხვა...

ავიღოთ მაგალითად სკოლების საქმე. რაც რევოლუციამ გამოცხადდა, მის შემდეგ სვანეთის მასწავლებელს, სასწავლებელი არ უნახავს და მოსწავლეს კი მასწავლებელი. ჯერ სვანეთში სკოლები ბევრი არ იყო და რაც იყო ისიც ყველასფერი დაიმსხვრა და დაინგრა. დარჩენ, მარტო გაპარტახებული სკოლები, სადაც თავისუფლად დათარეშობენ საქონლები. აგრეთვე დღეს სვანეთს, როგორც ერთ ჩამორჩენილ კუთხეს ესაქიროება არა ისეთი უცოდინარი, ცხოვრებაში გამოუცდილი და არა ისეთი მასწავლებლები, რომელთაც მასწავლებლის მოვალეობა არ იციან და რომელიც ბავშვის ფსიხოლოგიაზე წარმოადგენს არა აქვთ. დღეს სვანეთს ესაქიროება არა მარტო ისეთი მკოდნე მასწავლებელი, რომ ბავშვების აუხსნას რამე, არამედ ისეთი, რომელიც აგრეთვე მასწავლებელი იქმნება თვით ხალხის.

მასწავლებელი მოვალეა, რომ ხალხს კარგ მაგალითს აძლევდეს და აგრეთვე ხალხისთვის საზიანო ჩვეულებების წინააღმდეგ ილაშქრებდეს.

მაგრამ ამის მაგივრად რას ვხედავთ ჩვენ სვანეთში. ჯერ როდესაც თვით მასწავლებელს არასფერი არ ესმინას, ბავშვებს რა უნდა ასწავლოს და ხალხს ხომ სულ ვერასფერს ასწავლის. დღეს სვანეთის მასწავლებელი სულ სხვა რამეს წარმოადგენს.

მასწავლებელი ბევრჯერ იღებდა ხოლმე ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობას, შვერჯერ მოუწოდებია ხოლმე თავისი თემი ამა თუ იმ ძველ საქმისთვის შურისძიებლად დღეს ის თავიდან ბოლომდე იარაღში არის ჩამსხდარი ასე რომ, კაცს გვეგონებათ ყაჩაღი ან და იფიქრებ ეს სწორედ ყაჩაღი მორჩაძე ამდგარა მკვდრეთით და ის არისა.

აი სწორედ ასეთს მაგალითს აძლევს სვანი მასწავლებელი თავის მოძმეთ.

დღეს ყოველივე ამას თვალყურის დევნება ექვირება! მაგრამ ვინ არის თვალყურის მდევნილი... ყოველივე ეს სამაზრო ერობამ კარქად იცის, მაგრამ ის მხოლოდ ეხლა შეუდგა კლასების რეჟონტისთვის ფულის გამოწერას და ან ფული როდის მოვა, ან სკოლები როდის გაკეთდება და როდის სწავლა დაიწყება არავინ იცის.

სვანეთში აგრეთვე არ არსებობს კანონი, ვის რაც უნდა მას, ჩადის.

მართალი არის სვანეთში დღეს არსებობს სიტყვით მთავრობა რაიონის კომისარიატი, სოფლის და სხვა და სხვა ასე რომ მილიციელების რიცხვი რაიონისა თითქმის ასზე მეტია, მაგრამ საუბედუროდ ჩვენ მათ მუშაობას ვერ ვხედავთ და ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თვით ამ „კანონის კაცებს“ მიუღიათ სხვადასხვა საზიზღარ საქმეებში მონაწილეობა.

დღეს სვანეთში რაიონის კომისარად არის თვით სვანი, მაგრამ როგორც სვანს მას არ შეუძლია შეებრძოლოს ყოველივე ამას სისასტიკით, რადგან სვანი თავის შერცხვენას არასდროს არ დაივიწყებს და როდისმე შურს იძიებს თვის შემარცხვენელისაგან.

ერთი სიტყვით სვანეთი დღეს დღეობით ყოველმხრივ დიდ გაქირვებას განიცდის, რასაც დაუყოვნებლივ ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მთავრობის ისე ლეჩხუმის ერობის გამგეობის მიერ.

ბ. გუშვან.

კორესპონდენცია.

თერჯოლის საზ. (შორ. მაზრა.)

წელს ამ საზოგადოებაში ხშირათიმართებოდა საღამოები. თერჯოლის 2 კლასიანი სკოლის შენობაში გაიმართა ორჯერ. ერთი კოლია ქვეთარაძის მეთაურობით, რომელმაც მთელი საღამოს შემოსავალი, (ხარჯებს გარდა) 2,373 მანეთი, გადასცა სამკითხველოს გამგეობას სამკითხველოს ასალორძინებლად. როგორც კოლია ქვეთარაძეს, ისე მთელ ჯგუფს—საღამოს გამმართველებს, თერჯოლის ინტელიგენცია, სამკითხველოს წევრები და შეგნებული ნაწილი, დიდ მადლობას უძღვნის ამავე შენობაში გაიმართა 7 ეკენისთვის გიორგი ნიკ. მხეიძის მეთაურობით საღამო. არ ვიცი ნება ქონდა თუ არა აღებული. და იმის ნებაც თუ ჰქონდა თავისი დაწერილი, დაუბეჭდავი პიესები და ელგა.

როგორც აფიშები გვიჩვენებდა მთელი შემოსავალი უნდა გადასცემოდა თერჯოლის უფასო წიგნთსაც სამკითხველოს. ხალხი საღამოს ბლომად დაესწრო, რის გამოც შემოსავალი უთუოდ დიდი იქნებოდა. რომ უთანხმოებას ადგილი არ ქონდა და სისართლეც თავიდანვე აღდგენილიყო, სამკითხველოს გამგეობამ მიმართა ბ. გიორგი ნ. მხეიძეს, რათა კასაში სხებთან ერთად მჯდარიყო გამგეობისაგან არჩეული კაცი. მაგრამ ეს არ ისურვა ბ. მეთაურმა და გამგეობის მიერ შეცდომაზე მითითებამ დიდათ გააბრაზა და უშვარი სიტყვებით მიმართა სამკითხველოს გამგეობას და უფრო გამგეობის წევრს კოლია ქვეთარაძეს. გიორგი მხეიძემ დააბრალა მას ფულის გაფლანგვა. სიმართლის აღსადგენათ კოლია ქვეთარაძემ გამოიწვია

გიორგი მხეიძე საამხანაგო სასამართლოში მაგრამ არც ეს ისურვა მან, რადგან იცოდა გამტყუნებოდა იმაში, რომ არც გამგეობას და არც კოლია ქვეთარაძეს ერთი კაპეიცი არ შეუქამიათ, რომ ეს ფული 2373 მ. სავსებით ხმარდება სამკითხველოს ამას დაამტკიცებს გამგეობის მიერ ნაწარმოები საქმე და წიგნები. დღემდის გამგეობას კაპეიცი არ მიუღია მხეიძესაგან. რალაცა სხვა და სხვა მიზეზებს აყენებს და ამბობს ცოტას მეტი არ შემოსულა და აცოტას მოგცემთო სად არის ანგარიში გაკიდულ ბილეთების, ალახმა უწყის. რადგან, როგორც პირადათ ისე ძალითათ, ვერაფერი გავაწყვეთ ბ. გიორგი მხეიძესთან, ამისათვის სამკითხველოს გამგეობის სახელით პრესის საშვალეებთ მიხდა მოვსახოვა მას პასუხი. ნუ მოიქცევით ბ. გიორგი ისე, რომ მაინცა და მაინც შენი პიროვნება ძალიან გაილანძლოს. გთხოვთ წამოგვიყენოთ კანონიერი ანგარიში, როგორც 7 სექტემბრის საღამოს შემოსავლისა ისე ილიკო სპ. მხეიძის სახლში გამართულ საღამოსიც, რადგან იქაც სამკითხველოს სასარგებლოდ მქონდა გამართული საღამო.

კარგი იქნება ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნებოდეს სოფლად, რაც უტყვავს გულს საზოგადოებას, როცა დაიდგმება კულტურულ დაწესებულობისათვის და კერძო ჯიბეში კი ჩავა. (შეიძლება თქვენ ჯიბეში არ ჩასულა, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ ბ. მხეიძე, რადგან სწორ ანგარიშს ან უდგენთ სამკ. გამგეობას) საზოგადოება გულ ნატკენი, მეორედ აღარ მოეკარება საღამოს და ამგვარი ვაებატონების წყალობით სამკითხველოს შემოსავლის წყარო დაეკარგება.

ვლადიმერ ნემსიწვერიძე.

ანგარიში.

ქუთ. ვაჭარ-მრეწველთა საბჭოსთან არსებული სამხედრო კომიტეტისა.

თანახმად 1918 წლის, 26 დეკემბრის ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა საზოგადო კრების დადგენილებითა ომის საქიროებისათვის შემოწირულება შემოვიდა:

- 1, საბაკალ. საქონლით მოვაჭრეებისაგან. 19,940 მან.
- 2, მრეწველებისაგან . 13,900 "
- 3, ევროპიული ფებსაცმელების მკერავებისაგან 9,440 "
- 4, რკინეულობით მოვაჭრეთაგან 9,000 "
- 5, ხარაზებისაგან . 8,750 "
- 6, პურ-ღვინით მოვაჭრეებისაგან *) 6,915 "

*) პურ-ღვინით მოვაჭრეებში სულ შეგროვილი იყო 17,415 მან., მაგრამ 10,500 მანეთი გაუფლანგავს პურ-ღვინით მოვაჭრეთა კავშირის ხაზინადარს ალექსანდრე უგრეხელიძეს, საქმე გამომძიებლის ხელშია.

- 7, ტყავეულობით 6,000 "
- 8, ფართლეულობითა და საგანაწარმოო საქმეებისათვის 5,500 "
- 9, წიგნების-მალაზიები, სტამბები და წიგნის გამომცემლ. 5,150 "
- 10, ყასპებისაგან 5,300 "
- 11, ქურქლეულობ. მოვაჭრეთაგან 5,300 "
- 12, თევზეულობ. „ 5,100 "
- 13, ევროპიული ტანსაც. მკერავებისაგან 4,780 "
- 14, „ბრილიანჩიკები“, მესაათეები და ოქრო-მჭედლებისაგან 3,800 "
- 15, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრეთაგან 3,000 "
- 16, საკანდიტერო და საჩაიების მებატონეებისაგან 2,950 "
- 17, იმერული შალებით მოვაჭრეთაგან 2,500 "
- 18, სტოლიარები და მკუპობებისაგან 2,300 "
- 19, მებარეკმანერებისაგან 2,115 "
- 20, კონებისაგან 1,900 "
- 21, ევროპიული ქუდეების მკერავებისაგან 1,200 "
- 22, მეუნაგრეებისაგან 1,200 "
- 23, თერძებისაგან 1,170 "
- 24, შემთხვევით შემოწირულება 155 "

შემოვიდა სულ 127,672

აღნიშნული თანხიდან თანახმად სამხედრო კომიტეტის დადგენილ სა საქართველოს რესპუბლიკის ნანსთა სამინისტროს, სათანადო ყებისათვის გადასაცემათ გადასცემ 100,000 მან.

ქუთაისის გარნიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამზრუნველო ქოს 20,000 მან.

დარჩა სამხედრო კომიტეტის კარგულეებაში 7572 მანეთი, რომელითაც დაკმაყოფილებული იქნეს სამხედრო კომიტეტის მდინი და დარაჯი, და ნაწილი მხარდება კომიტეტის დაწერილებს ანგარიშების დასტამბვას; რომელთა უკვე იბეჭდება და შემომწირველ მალე დაურიგდებათ ანგარიშები მოხსენებული იქნება: გვარი, სახელი მამის სახელი შემომწირველისა შემოწირულების რაოდენობა.

სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე: ივ. პურადაშვილი. მდივანი ალ. ლულაძე.

S. P. ვთხოვთ ადგილობრივ თბილისის ყველა ქართულ გაზეტს ბის რედაქციებს ეს ანგარიშები დაბეჭდონ.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია